შემუშავებულია
სკოლის დირექტორების მონაწილეობით:

მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

დამტკიცებულია

შპს სკოლა ევრო- 2000 ის პედაგოგიური
საბჭოს 2021 წლის 07 სექტემბრის N1 სხდომაზე

შპს სკოლა ევრო-2000
სასკოლო სასწავლო გეგმა

2021-2022 სასწავლო წელი

სასკოლო სასწავლო გეგმის სარჩევი

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

✓ სკოლის მისია;

✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით;

✓ სასწავლო წლის კალენდარი;

✓ დღის რეჟიმი;

✓ სასკოლო საათობრივი ბადე;

✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;

✓ საგნობრივი კათედრები;

✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;

✓ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);

✓ ინკლუზიური განათლება;

✓ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

✓ სადამრიგებლო პროგრამა;

✓ IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი. ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი;

✓ დისტანციური სწავლება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

სკოლა ევრო-2000-ის მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედება; გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა; მოსწავლეების მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისათვის.

სკოლის კულტურა

სკოლა თავისი საერთო მისიიდან გამომიდნარე ხელმძღვანელობს მოქალაქეობრივ პრინციპეზე დაყრდნობით. მისი მთავარი მიზანია სკოლის საზოგადოებაში შეიქმნას თანასწორუფლებიანი, არადისკრიმინაციული ურთიერთობები, როგორც სკოლის მოსწავლეებსა თუ პედაგოგებს შორის , ასევე მშობლებსა და სკოლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოქალაქესთან მიმართბაში .

ჩვენი სკოლის მრავალენობრივი და მულტიკულტურული საზოგადოებისათვის თანასწორი პირობების შექმნა, ურთიერთდაფასება,თანადგომა,განსხვავებული ერებისა და კულტურების პატივისცემა სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა .

ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბები „სითიზენი“(ხელმძღვანელი ქ.რუსიეშვილი, „დებატკლუბი“ (ხელმძღვანელები თ.ბაუჯაძე და ქ.რუსიეშვილი), ფუნქციონირებს ეკოკლუბი„ნერტუსი“(ხელმძღვანელიხ.ხუნდაძე, თეატრალურიწრე “სახილველი”(ხელმძღვანელი თ.ფირცხალაიშვილი, თ.ხოფერი და მ სახელაშვილია . ფრანგული ენის წრე (ხელმძღვანელი

ს.დუმბაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი “ჯავარი” (ხელმძღვანელი ნ.ცეცხლაძე), ჭადრაკის წრე (ხელმძღვანელი სოფიო ანთია და დიანა კუტელია), მაგიდის ჩოგბურთის კლუბი “ევრო-2000” (ხელმძღვანელი ალეკო მურადოვი და ზურა უკლება), რომელშიც თანაბრადაა ჩართული სურვილისა და მონაცემების შესაბამისად სკოლის მოსწავლეები. ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები, კვირეულები, კულტურული თუ საქველმოქმედო საღამოები.

სკოლისათვის უმნიშვნელოვანესია თანამშრომლებს შორის უსაფრთხო, თანასწორი და ღია ურთიერთობების შექმნა, მათი წახალისება,ზრუნვა მათ განვითარებაზე თუ პროფესიულ ზრდაზე. სკოლის მოსწავლე და მასწავლებელი თავისუფალია მორალური თუ ფიზიკური ზეწოლისაგან, აზრის თავისუფლად გამოხატვა და კრიტიკული აზროვნება მისაღები და წახალისებულია. მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ თავისი უფლებებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოვალეობებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით

2021 -2022 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.
სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.

დაწყებითი საფეხურის მისია

დაწყებითი საფეხურის მისიაა:
ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

საბაზო საფეხურის მისია

საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

საშუალო საფეხურის მისია

საშუალო საფეხურის მისიაა:
ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი

სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2. 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2022 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა;

3. I კლასის მოსწავლეთათვის 2021-2022 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2022 წლის 27 მაისი, ხოლო XII კლასის მოსწავლეთათვის - 2022 წლის 20 მაისი;

4. 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2021 წლის 29 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2022 წლის 17 იანვარს;

5. 2021-2022 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

უქმე დღეები	
14.10.2021	სვეტიცხოვლობა
23.11.2021	გიორგობის დღე
01-02.01.2022	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
07.01.2022	შობა
19.01.2022	ნათლისღება
03.03.2022	დედის დღე
08.03.2022	ქალთა საერთაშორისო დღე
22-25.04.2022	აღდგომის სადღესასწაულო დღეები
09.05.2022	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

12.05.2022	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
26.05.2022	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი **დანართი N 1** სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

7. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:
ა) სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;
ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები; ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს;
გ) ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით.

38 I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;

9. II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 40 წუთი

10. III – XII კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი;

11. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.);

ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს.

13. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 10 წუთი, მეშვიდე და მერვე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 5 წუთს

გაკვეთილების განრიგი (დღის რეჟიმი)

გაკვეთილების განრიგი პირველკლასელთათვის

	დასაწყისი	დასასრული	შესვენება
1.	9:35	10:10	20წთ
2.	10:30	11:05	25წთ
3.	11:30	12:05	15წთ
4.	12:20	12:55	15წთ
5.	13:10	13:45	15წთ
6.	14:00	14:35	

გაკვეთილების განრიგი მეორეკლასელთათვის

გაკვეთილების განრიგი მეორე კლასელთათვის

სკოლა ევრო - 2000

	დასაწყისი	დასასრული	შესვენება
1.	8:45	9:25	10წთ
2.	9:35	10:15	15წთ
3.	10:30	11:10	20წთ
4.	11:30	12:10	10წთ
5.	12:20	13:00	10წთ
6.	13:10	13:50	

გაკვეთილების განრიგი

გაკვეთილი	დაწყება	დამთავრება	შესვენება
I	8:45	9:30	5 წუთი
II	9:35	10:20	10 წუთი
III	10:30	11:15	15 წუთი
IV	11:30	12:15	5 წუთი
V	12:20	13:05	5 წუთი
VI	13:10	13:55	5 წუთი
VII	14:00	14:45	5 წუთი
VIII	14:50	15:35	–

განაყოფები

შპს სკოლა ევრო-2000 2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მე-6 დან მე-12 კლასის ჩათვლით ქმნის პირველ უცხოურ (ინგლისური) ენაში და მეორე უცხოურ ენაში გერმანული ენის განაყოფებს, რუსულ და ფრანგულ ენებში.

გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის

სასწავლო პროგრამა

გერმანულის, როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლების კონცეფცია

გერმანულის, როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლების კონცეფცია არის ზოგადსაგანმანათლებლო და კერძო დაწესებულებების ბაზაზე მოსწავლის მიერ არა მარტო უცხოური ენის შესწავლის, არამედ მის სიღრმეში წვდომის და ევროპული ცივილიზაციის სივრცეში მისი ორიენტირების საფუძველი.

მოსწავლესა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული გერმანული ენის სასწავლო პროგრამა, ბუნებრივია, უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის გერმანულენოვან სივრცეში ორიენტირებას, მის მიერ გერმანული ენის კულტურისა და ყოველდღიურობის გაცნობასა და წვდომას, ძირითადი ენობრივი და ინტერკულტურული კომპეტენციების დაუფლებას და მოსწავლის ევროპული განათლებისათვის საფუძვლიან მომზადებას.

გერმანულის, როგორც უცხოური ენის სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს მოსწავლეთა მომზადებას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული ენის ცოდნის მე-5 ძირითადი საფეხურის გერმანული ენის დიპლომის მოსაპოვებლად.

სასწავლო პროგრამა შესაბამისად შედგენილია საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის ცოდნის დონეებისა და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უცხოური ენების სტანდარტების მიხედვით, ასევე სასწავლო სახელმძღვანელოების შინაარსისა და სასწავლო მიზნების გათვალისწინებით.

სასწავლო პროგრამა შეიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების და ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის ცოდნის საფეხურების შესაბამის სასწავლო მიზნებს, ამოცანებს, შედეგებს, სტრატეგიებსა და შეფასების სისტემას.

2009 წლიდან შ.პ.ს. სკოლა „ევრო-2000“ არის ინიციატივის „სკოლები-მომავლის პარტნიორები“ პროგრამის წევრი და მას წლების განმავლობაში ჰქონდა მკვეთრად

დასახული მიზანი, გამხდარიყო გერმანული ენის დიპლომის (DSD II) სკოლა. ეს არის სკოლა, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ჩააბარონ გერმანული ენის დიპლომის B2/C1 საფეხურის გამოცდა. ეს მიზანი მოითხოვს გერმანული ენის გაძლიერებულ სწავლებას, რაც მოსწავლეებს უვითარებს ენის ყველა ძირითად კომპეტენციას და საფუძველს უქმნის მათ, სწავლა გააგრძელონ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში.

2010 წლის 12 ნოემბერს სკოლამ გააკეთა განაცხადი გერმანული ენის დიპლომის გამოცდის ჩატარების უფლების მისაღებად.

DSD I-ის გამოცდის ჩატარების, კერძოდ B1 საფეხურის დიპლომის გამოცდის ჩატარების უფლება სკოლას 2013 წლიდან მიენიჭა. ეს დიპლომი მიზნად ისახავს არამარტო A, ასევე B ჯგუფის მოსწავლეებს მიეცეს საშუალება უცხოეთში სწავლის გაგრძელებისა, რაც მოსწავლეებში ზრდის გერმანული ენის შესწავლის მოტივაციას. გამოცდაზე მონაწილეობის უფლება აქვთ მე-9 კლასის A ჯგუფსა და მე-11-მე-12 კლასის B ჯგუფის მოსწავლეებს.

2011 წელს გერმანიაში კულტურის მინისტრების კონფერენციის სამდივნოს ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით სკოლა ევრო-2000 გახდა ენის დიპლომის სკოლა და არის ერთ-ერთი იმ 1700 სკოლიდან, რომლებიც არსებობენ მსოფლიოში, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარტნიორი სკოლები.

ეს განაცხადი გულისხმობს იმას, რომ სკოლას გააჩნია გერმანულის, როგორც უცხო ენის სწავლების სკოლის შიდა სამუშაო კონცეფცია, რომელშიც დამუშავებული და ჩართულია ასევე უცხოური ენის სწავლების სტანდარტი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის შიდა სამუშაო კონცეფცია ითვალისწინებს გერმანული ენის გაკვეთილზე ერთენოვანი (გერმანულენოვანი) სახელმძღვანელოებით სწავლებას, ისევე როგორც ეს ხდება მსოფლიოს სხვა გერმანული ენის დიპლომის სკოლებში.

ეს სახელმძღვანელოები სკოლას უფასოდ მიეწოდება საზღვარგარეთ სასკოლო საქმის ცენტრალური სამსახურის (ZfA) მიერ.

აღნიშნულ განაცხადს, რომელშიც გათვალისწინებულია ასევე გერმანული სახელმძღვანელოების გამოყენება ენის სწავლებისას, რეკომენდაცია გაუწია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 3.12.2010 წ. კორესპონდენციით, რომლის ნომერია 23-06/21411.

ენის დიპლომის მიღების მიზნით სწავლება მოითხოვს ასევე, რომ მოსწავლეს სკოლაში გავლილი ჰქონდეს გერმანული ენის საათების გარკვეული რაოდენობა. გერმანული

ენის დიპლომის DSD I-და DSD II- ის ჩაბარების უფლება ეძლევათ წარმატებულ მოსწავლეებს მე-9 კლასიდან .

ინტენსიური პროგრამის წარმატებით დაძლევის მიზნით კლასები იყოფა ენის ცოდნის დონის შესაბამისად - A (ძლიერი), B (საშუალო), C (სუსტი), სადაც მოსწავლეთა უნარ-ჩვევები საჭიროების მიხედვით ვითარდება.

A- ჯგუფებში მკვეთრი აქცენტი კეთდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე. ამასთან მოსწავლეებმა უნდა შეძლონ არა მხოლოდ მოცემული და ნაცნობი სიტუაციების დაძლევა, არამედ უნდა გამოიმუშავდეთ სპონტანური, მოულოდნელი ენობრივი ქმედებები, რადგან კომუნიკაცია რეალურ სამყაროში წინასწარ არასოდეს იგეგმება. ენისადმი ასეთი მიდგომა მოითხოვს როგორც მდიდარ აქტიურ და პასიურ ლექსიკას, ასევე გრამატიკული სტრუქტურების თავისუფლად გამოყენების უნარს. ამ უნარის გამომუშავება ხდება დასაწყისიდანვე. თავისუფალ წერას მიეკუთვნება როგორც მოთხრობების, მოხსენებების, ინტერვიუების, დიალოგების წერა, ასევე საქმიანი და ლიტერატურული ტექსტების, გრაფიკისა და სტატისტიკის ინტერპრეტაცია. ენის სწავლების მაღალ საფეხურზე თხზულება შედგება არა მხოლოდ თემის აღწერის ან განხილვისაგან, არამედ შინაარსის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემის, გრაფიკის ანალიზისა და საზოგადოებრივი თემის განხილვისაგან, რომლის დროსაც უნდა მოხდეს თემის სხვადასხვა ასპექტში გაშუქება და მოცემული თეზისების სრულყოფილად დასაბუთება.

გაკვეთილზე ხდება აგრეთვე კითხვითი და სმენითი კომპეტენციების განმტკიცებისათვის სისტემატიური ვარჯიში და ხელის შეწყობა, რადგან უცხო ენის შესწავლისას კომბინირებული კომპონენტების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეცადინეობა ძირითადად გერმანულ ენაზე მიმდინარეობს, რაც საშუალებას იძლევა სმენითი კომპეტენციის გამომუშავება ისევე ინტენსიურად მოხდეს, როგორც მედიის გამოყენებისას (აუდიო დისკი, მასალები ინტერნეტიდან). ამასთან მოსწავლეები უფრო მეტად გაბედულები არიან უცხო ენასთან მიმართებაში და მოსმენა და საუბარი მნიშვნელოვნად უადვილდებათ.

ენობრივი კომპეტენციების შემოწმება სხვადასხვა გზით ხდება. ერთის მხრივ, არსებობს სპეციალური ტესტები კონკრეტული კომპეტენციისთვის (ლექსიკური ტესტი: ახსნა და პერიფრაზირება, სინონიმები და ანტონიმები; წაკითხულისა და მოსმენილის გასააზრებელი

ტესტი: ტექსტში გამოტოვებული სიტყვების შევსება, ოთხი სავარაუდო პასუხიდან სწორი პასუხის ამოცნობა, ღია და დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ენობრივი სტრუქტურების ერთმანეთთან დაკავშირება; გრამატიკული ტესტები; წერითი მეტყველება/თხზულება); მეორეს მხრივ, არსებობს შემაჯამებელი სამუშაოები, რომლებშიც ხდება რომელიმე ერთი კომპეტენციის შეფასება: კითხვა, ლექსიკა ან წერითი მეტყველება. შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება ასევე ჩატარდეს ზეპირი სახით. წერით მეტყველებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წერის დროს ჩანს მოსწავლის მიერ ზოგადად ენის ფლობა. (თხზულების დროს ფასდება ლექსიკა, ენობრივი სტრუქტურები, გრამატიკა, ტექსტის აგებულება და შინაარსი).

ეს ტესტები ტარდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და აუცილებლად თითოეული ჯგუფისთვის შესაბამის დონეზე. ჯგუფის ეს სისტემა არაა დახურული/საბოლოო. თუ სასწავლო პროცესში გაირკვა, რომ რომელიმე მოსწავლე ჯგუფის შესაბამის მოთხოვნებს უკეთ აკმაყოფილებს, ვიდრე სხვა მოსწავლე, მაშინ მას ეძლევა საშუალება, გადავიდეს უფრო მაღალ ჯგუფში. მსგავსი მიდგომაა იმ მოსწავლეებთანაც, რომლებიც ვეღარ აკმაყოფილებენ ჯგუფის მოთხოვნებს და მათ უწევთ უფრო დაბალ ჯგუფში გადასვლა. ყოველივე ამის ზუსტად დასადგენად, სასწავლო პროცესის ბოლოს ტარდება ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტები ყოველ ჯგუფში არსებული დონის გათვალისწინებით. მოსწავლეებმა, რომელთაც სურთ უფრო მაღალ ჯგუფში გადასვლა, უნდა დაწერონ ამ მაღალი ჯგუფის შესაბამისი ტესტი. თუ ისინი დაძლევენ ამ ტესტს, შემდგომი სასწავლო წლიდან ისწავლიან უფრო მაღალ ჯგუფში. ის მოსწავლეები კი, რომლებიც ვერ გადალახავენ მათი ჯგუფისთვის დაწესებულ ბარიერს, ხვდებიან უფრო დაბალ ჯგუფში.

თუმცა, იმ მოტივირებულ მოსწავლეებს, რომლებსაც სურდათ უფრო მაღალ ჯგუფში გადასვლა/ან ჯგუფში დარჩენა, მაგრამ ტესტში ვერ დააგროვეს ქულების საკმარისი რაოდენობა, ზაფხულის პერიოდში ეძლევათ თვითმომზადების შანსი და ისინი განმეორებით აბარებენ ტესტს (არა იმავეს, მაგრამ წლის ბოლოს დაწერილი ტესტის მსგავსს ტესტს) ახალი სასწავლო წლის სექტემბრის თვეში. წარმატების შემთხვევაში ისინი ხვდებიან /რჩებიან სასურველ ჯგუფში. სწორედ ყოველივე ამის საფუძველზე, შესაძლებელია ჯგუფებში სტაბილურად მაღალი დონის შენარჩუნება.

გარდა ამისა მე-11 კლასის სადიპლომო ჯგუფში სასწავლო წლის დასასრულს, ივნისის პირველ კვირაში უტარდებათ გერმანული ენის ინტენსიური კურსი. კურსის ხელმძღვანელი არის მოწვეული გერმანელი პედაგოგი, რომელიც 4 დღის განმავლობაში სრული დატვირთვით ენის ოთხივე კომპეტენციაში მუშაობს მოსწავლეებთან. სამუშაო ფაზის შემდეგ მე-5 დღეს ტარდება გერმანული ენის დიპლომის საცდელი გამოცდა. მიღებული შედეგებით დგება სადიპლომო გამოცდისთვის შერჩეულ მონაწილე მოსწავლეთა სია. მათი

მონაცემები გადაიგზავნება გერმანიაში და მოხდება მათი გერმანიის ქსელში გამოცდისთვის დარეგისტრირება.

მოსწავლეთა შეფასება ხდება არა მხოლოდ ტესტების საფუძველზე, არამედ გაკვეთილზე აქტიურობის გათვალისწინებითაც. გაკვეთილზე მუდმივად ხდება ენის კომპეტენციების (ზეპირმეტყველება, კითხვა, მოსმენა, ტესტები, თხზულებების წერა, გრამატიკა) გამოკითხვა და შეფასება. შეფასების დროს ყურადღება ექცევა ასევე საშინაო დავალებებსაც, რომლებიც სხვადასხვა სახისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ საშინაო დავალებებში მოცემული დავალებები და შეკითხვები გაკვეთილზე მსგავსი, სხვაგვარი ფორმულირებებით დაისმება და შეფასდება, რათა გაკონტროლდეს, რამდენად დამუშავებული აქვს მოსწავლეს მისთვის მიცემული მასალა. ასეთი სახის საშინაო დავალებები ემსახურება მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობის კონტროლს, რაც ხელს უწყობს ასევე მათ მომზადებას შემდგომი გაკვეთილისთვის. საშინაო დავალებების კონტროლის ფორმა შეიძლება იყოს მაგალითად ის, რომ მოსწავლეებს სახლში წასაკითხად ეძლევათ ტექსტი და მათ ამ ტექსტთან დაკავშირებით უნდა შეადგინონ ინტერვიუ ან დიალოგი, შეავსონ ტექსტში გამოტოვებული ადგილები ან განავრცონ წინადადებები.ამ დროს ხდება მოსწავლეთა წინასწარ ინფორმირება იმის შესახებ, თუ რას ენიჭება განსაკუთრებული როლი შეფასებისას: გრამატიკას, ლექსიკას, ორთოგრაფიას, თუ ყველა კომპეტენციას თანაბარი წილი აქვს.

სასწავლო პროგრამის სამიზნე ჯგუფი: მოსწავლეები

სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა: დაწყებითი საფეხურიდან (მე-2 კლასიდან)

საშუალო საფეხურის ჩათვლით- 11 სასწავლო

წელი

სასწავლო პროგრამის კვირეული

აკადემიური საათების რაოდენობა

კლასების მიხედვით:

	დაწყებითი						საბაზო			საშუალო		
კლასი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
გერმანული ენა	-	2	3	3	4	4	4	4	4	4	4	4

მე-6, მე- 7, მე-8, მე- 9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასების A ჯგუფის მოსწავლეთათვის მოქმედებს გერმანული ენის წრეები შესაბამისი პროგრამითა და დატვირთვით. **წრეობრივი მუშაობა გაწერილია ცხრილში და მასზე დასწრება სავალდებულოა A ჯგუფის მოსწავლეთათვის** დასწრება თავისუფალია B და C ჯგუფის მოსწავლეებისათვის.

წრეობრივი მუშაობის საათობრივი დატვირთვა.

შენიშვნა: წრეების რაოდენობები ჯგუფებში შეიძლება დაემატოს ჯგუფის საჭიროებების მიხედვით,პედაგოგის ან კათედრის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.მიმდინარე სასწავლო წელს მე-6 დ და მე-7 დ კლასებში არის ორ-ორი წრე,პედაგოგის მოთხოვნის საფუძველზე.ხოლო მე-12 კლასის ჯგუფების (A 1, A 2. B, C) საგაკვეთილო და წრეობრივი მუშაობის საათების კვირეული რაოდენობა დგინდება ჯგუფების საჭიროებებიდან გამომდინარე,პედაგოგის ინდივიდუალური მოთხოვნით,კათედრის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

კლასი	6	7	8	9	10	11	12
გერმანული ენა	1	1	1	2	2	2	2

გერმანული ენის როგორც უცხო ენის სწავლა-სწავლების მიზნები და ამოცანები:

ძირითადი მიზანია მოსწავლის მომზადება გერმანული ენის I და II საფეხურის დიპლომების მოსაპოვებლად და ევროპული განათლების მისაღებად.

კონკრეტული მიზნები და ამოცანები:

- ქართულ სივრცეში გერმანული ენის როგორც სასაუბრო და საგაკვეთილო ენის დაუფლება;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გასავითარებელი ენობრივი მასალისა და სოციოკულტურული და კულტურული თემების დაუფლება
- ძირითადი ენობრივი საკომუნიკაციო კომპეტენციების - მოსმენის, წერითი და ზეპირი კომუნიკაციის, კითხვის- უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ინტერკულუტურული კომპეტენციების დაუფლება;
- მედიებთან მუშაობის კომპეტენციის დაუფლება;
- ენის შესწავლის კომპეტენციის დაუფლება;
- სოციალური მუშაობის ფორმების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

გერმანული ენის როგორც უცხო ენის სწავლა-სწავლების სრულყოფილი სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ მოსალოდნელი შედეგები და მათი ინდიკატორები შემდეგი მიმართულებებით:

1. *აუდირება- მოსმენილისა და დანახულის გააზრება:*

   მოსწავლე შეძლებს მოისმინოს და გაიგოს:

   · როგორც უცხო, ასევე კომპლექსურ თემებთან დაკავშირებული ვრცელი მოხსენებები- ლექცია, რეფერატი, დისკუსია, დებატები;

   · რადიო-ტელევიზიისა და ტელეფონის შეტყობინებები, ხარვეზების შემთხვევაშიც კი;

   · კომპლექსური ტექნიკური ინფორმაციები, როგორიცაა მომსახურეობითი ინსტრუქცია და პროდუქტის აღწერა;

   · რადიო-ტელევიზიის გადაცემები და ფილმები გლობალურად და დეტალურად;

   · რადიო-ტელევიზიის გადაცემებისა და ფილმების კომპლექსური დეტალები იმ შემთხვევაშიც კი, როცა არასტანდარტული ენა, იგივე

   სასაუბრო ენა და რთული იდიომატიკაა გამოყენებული;

2. *ზეპირი კომუნიკაცია;*

მოსწავლე შეძლებს:

- ისაუბროს თანმიმდევრულად, სპონტანურად, გაბმულად და სიტუაციის ადეკვატურად;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხანგრძლივ ფორმალურ და არაფორმალურ დისკუსიებსა და მოლაპარაკებებში;
- ისაუბროს აბსტრაქტულ, კომპლექსურ და ნაკლებად ნაცნობ თემებზე;
- პუბლიკის წინაშე წარმართოს მოხსენება კომპლექსური თემების შესახებ მკაფიოდ, დეტალურად და სტრუქტურულად გამართულად;
- წინასწარი მომზადების გარეშე კომპლექსურ თემებზე გამოხატოს და დაასაბუთოს საკუთარი შეხედულება;
- თავისუფლად და გაბმულად გადმოსცეს წიგნის, ტექსტის, სიმღერის ან ფილმის შინაარსი;
- სამეტყველო ამოცანების ეფექტურად და სტრატეგიულად გადაჭრას;

3. *წაკითხულის გააზრება:*

მოსწავლე შეძლებს:

- საზოგადოებრივი და პროფესიული სფეროს კომპლექსური, გრძელი ტექსტების ფართო სპექტრის წაკითხვას, გაგებას და გაანალიზებას;
- კომპლექსური ტექსტების იმპლიციტური, ასევე ექსპლიციტური თვალსაზრისის, იდეის გააზრებას და გაანალიზებას;
- ნებისმიერი სახის კორესპონდენციისა და ვრცელი კომპლექსური ტექნიკური ინსტრუქციების თუნდაც ლექსიკონის გამოყენებით გაგებას და გაანალიზებას;
- გამოიყენოს კითხვის სხვადასხვა ტექნიკა- გლობალური, სელექტიური, დეტალური, ანალიზური და კრიტიკული;

4. *წერითი კომუნიკაცია:*

მოსწავლე შეძლებს:

- კომპლექსურ თემებზე მკაფიო, ნათლად სტრუქტურირებული ტექსტების შეთხზვას და თავისი მოსაზრებების მკაფიოდ, თანმიმდევრულად და საფუძვლიანად გამოხატვას;
- პირადი კორესპონდენციის, მოხსენების და აღწერილობის წერისას სიტუაციისა და ადრესატის ადეკვატურად ორიენტირებას;
- კომპლექსურ თემებთან დაკავშირებული სტატისტიკური დიაგრამების გაანალიზებასა და აღწერას;
- წერის პროცესის ყველა ეტაპზე ეფექტური სტრატეგიების (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება) გამოყენებას;

5. *ინტერკულტურული კომპეტენცია:*

მოსწავლე შეძლებს:

- შესასწავლი ენისა და მშობლიური ან სხვა უკვე შესწავლილი ენის ენობრივი ფენომენების შედარებას, მსგავსება-განსხვავებების პოვნას;
- ენობრივ ვარიაციებს შორის განსხვავებების ამოცნობას და მათ იდენტიფცირებას;
- მშობლიური და უცხო ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების სტილისა და წეს-ჩვეულებების შედარებას:
- ლიტერატურულ და არასალიტერატურო ტექსტებში ინტერკულტურული ელემენტების, განსხვავებების დადგენას;
- უცხო ქვეყნის განსხვავებული კულტურული ელემენტების გაგებას და ტოლერირებას.

6. *ენის ტრანსფერი:*

მოსწავლე შეძლებს:

- სხვადასხვა სიტუაციაში (დიდი და მოკლე ტექსტები, ხანგრძლივი და მოკლე საუბრები) კომპლექსური გამონათქვამების კონტექსტის მიხედვით თარგმნას;
- არამხატვრული ტექსტების წერილობით/ ზეპირ თარგმანს;
- უცხოურ ენაზე სხვადასხვა სახის პროექტის განხორციელებას.

7. *ტექსტთან და მედიებთან მუშაობის კომპეტენცია:*

მოსწავლე შეძლებს:

- მოხსენების, პლაკატებისა და კომპიუტრეული პრეზენტაციების სახით გაკეთებას;
- ლექსიკონებსა და სხვა წყაროებში ინფორმაციის მოძიებას;
- ფართოდ გამოყენებული ტექსტების თვით ფორმულირებას;
- ავტორის ინტენციის გადმოცემას.

8. *სწავლის სწავლა*

მოსწავლე შეძლებს:

- წარმატებული სწავლების ხელშესაწყობად და ენების ათვისების გასაადვილებლად სტრატეგიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- დამოუკიდებლად მართოს და დაგეგმოს მისი სამუშაო პროცესი;
- გაითვალისწინოს თანაკლასელთა აზრი გადაწყვეტილების პროცესში;
- თანამშრომლობას მასწავლებელთან და თანაკლასელებთან.

გერმანულის, როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლების სტრატეგიები და სოციალური მუშაობის ფორმები:

- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს და მართავს სასწავლო-საგაკვეთილო პროცესს, მოსწავლე აქტიურობს, მუშაობს დამოუკიდებლად მოცემული სამუშაოს პირობის მიხედვით და მართავს საკუთარი სწავლის პროცესს;
- სწავლის სწავლება;
- სახალისო , ენობრივი თამაშებითა და თანამედროვე მედიებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მოსწავლეთა მოტივირება:
- ავტონომიური სწავლება;
- ოთხეტაპიანი გაკვეთილი- წინასწარი ცოდნის გააქტიურება, პრეზენტაცია, სემანტიზირება და ვარჯიში;
- მაგალითიდან წესამდე, გააზრება და ფორმულირება;
- ინდივიდუალური, ჯგუფური მუშაობა და საკლასო საუბარი;
- პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, როლური თამაში.

მატერიალური რესურსები:

სახელმძღვანელო, სამუშაო წიგნი, სამუშაო პორტფოლიო, ტესტების რვეული, საკონტროლო რვეული, ლექსიკონი, ინტერნეტი, სურათი/ფოტო, რუკა, თოჯინები, ბურთი, ბარათები, დაფა, მარკერი, პროექტორი, ეკრანი, OVH-პროექტორი, ფოტოკამერა, ვიდეოკამერა, მაგნიტოფონი, დისკი, ლეპტოპი, ფილმები, სიმღერები, ჟურნალ-გაზეთები, დამატებითი მასალა- საკითხავი ლიტერატურა, სამუშაო ფურცლები ჯგუფური მუშაობისთვის.

ადამიანური რესურსები:

პასუხისმგებლობა, სიბეჯითე, კონცენტრაცია, გაკვეთილზე ყურადღებით ყოფნა, ყოფაქცევა, აქტიურობა, ინტერესი საგნისადმი, სწავლის სურვილი, ტოლერანტობა, თვითშეფასება, თვითკონტროლი.

სასწავლო სახელმძღვანელოები:

- Bärenspaß 1/ Geschichtenbuch/ Lehrerhandbuch, Guide Verlag
- So Na Da Verlag, Deutsch für Kinder. Grundstufe A1
- Fabuli, Klett Verlag, Jutta Douvitsas-Gamst/ Singrid Xanthos-Kretzscgmer, 2009 წ.
- Das neue Deutschmobil 1/ Arbeitsbuch/Testheft/ Lehrerhandbuch, Jutta Douvitsas-Gamst/ Singrid Xanthos-Kretzscgmer/ Eleftherios Xanthos, 2005 წ.
- Das neue Deutschmobil 2/ Arbeitsbuch/Testheft/ Lehrerhandbuch, Jutta Douvitsas-Gamst/ Singrid Xanthos-Kretzscgmer/ Eleftherios Xanthos, 2005 წ.
- Das neue Deutschmobil 3/ Arbeitsbuch/Testheft/ Lehrerhandbuch, Jutta Douvitsas-Gamst/ Singrid Xanthos-Kretzscgmer/ Eleftherios Xanthos, 2005 წ.
- Ausblick 1, Brückenkurs/ Arbeitsbuch/ Lehrerhandbuch, Hueber Verlag, Fischer-Mitziviris, Janke-Papanikolaou, 2007 წ.
- Ausblick 2, Brückenkurs/ Arbeitsbuch/ Lehrerhandbuch, Hueber Verlag, Fischer-Mitziviris, Janke-Papanikolaou, 2007 წ.
- Pingpong Neu 1 / Arbeitsbuch/ Lehrerhandbuch, Hueber Verlag, Gabriele Kopp und Konstanze Frölich, 2001წ.
- Pingpong Neu 2/ Arbeitsbuch/ Lehrerhandbuch, Hueber Verlag, Gabriele Kopp und Konstanze Frölich, 2001წ.
- Pingpong Neu 3/ Arbeitsbuch/ Lehrerhandbuch, Hueber Verlag, Gabriele Kopp und Konstanze Frölich, 2001წ.
- DSD I -სა და DSD II-ის მოსამზადებელი მასალები

დამატებითი ლიტერატურა:

- Duden Deutsches Universalwörterbuch, Wissenschaftlicher Rat, 2002 წ.
- Langenscheidt Deutsch als Fremdsprache, Dieter Götz/ Hans Wellmann, 2003 წ.
- Alle meine Lieder, CD, Dagmar Geisler, 2008 წ.
- Mit Erfolg zu Start Deutsch 1, Hans-Jürgen Hantschel, Verena Klotz, 2006 წ.
- Em Neu, Hauptkurs, Kursbuch, Arbeitsbuch, Lehrerhandbuch, 2003
- Zertifikat Deutsch B1, Hubert Eichheim/ Günther Storch, 2006 წ.
- Goethe-Zertifikat B2, Hans-Jürgen Hantschel, Verena Klotz, 2006 წ.
- Goethe-Zertifikat C1, Andrea Frater/ Jörg Keller/ Angelique Thaber, 2006 წ.
- So geht´s zum DSD B2/C1, Ewa Brewinska/ Holm Bucher/ Beate Müller-Karpe, 2010 წ.
- Bilder suchen – Wörter finden, Sybille Brauer, 2007 წ.
- Großes Übungsbuch mit Tests, Naira Chrikadse/ Zizia Guduschauri, 2008 წ.
- Eli Illustrierter Wortschatz Deutsch, herausgegeben Ernst Klett Verlag, 2007 წ.
- Ich lerne Deutschland kennen, media Verlagsgesellschaft mbH, 2007 წ.
- Hörtraining für die Mittelstufe, Gaby Grammenon, 2004 წ.
- Grammatik im Gespräch, Olga Swerlova, 2008 წ.
- Grammatikbogen, Kees van Eunon, Jesques Moreau, Filip de Nys, 1994 წ.
- Grammatik kreativ, Günter Gerngroß, Wilfried Krenn, 1999 წ.
- Wissen Landeskunde Deutschland, Renate Luscher, 2008 წ.
- Tatsache über Deutschland, Peter Hintereder, 2005 წ.,
- Wer, was, wann, wo?, Peter lege, 2005 წ.
- Landeskunde Deutschland, Renate Luscher, 2008 წ.
- Wortschatzübungen Deutsch als Fremdsprache, Magda Ferenbach, 2009 წ.
- Rundum, Ernst Klett Verlag, 2006 წ.
- Orientierungskurs Deutschland, Susan Kaufmann, Lutz Rohrmann, 2007 წ.
- Gute Noten in Deutsch Rechtschreiben, Inga Müller, 2006 წ.
- Grundschulwörterbuch Deutsch, Susanne Billes, 2005 წ.
- Deutsch-Georgisches Wörterbuch, Rusudan Sakalaschwili, 2007 წ.
- Power Wörterbuch Deutsch, Dieter Götz, Hans Wellmann, 2009 წ.
- www.google.de (საძიებო მანქანა)
- www.deutschewelle.de
- www.goethe.de/tbilissi
- pasch.net

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა

2021-2022 სასწავლო წელს ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) 2021 წლის 4 ოქტომბრამდე სასწავლო პროცესი უნდა განახორციელონ მხოლოდ დისტანციური სწავლებისა და, საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით.

შემდგომშიც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე.

სკოლაში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

ა) სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით);

ბ) ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების ან/და ბეჭდური რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;

გ) ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით (შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შთანხმებით).

2021 წლის 04 ოქტომბრამდე სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ZOOM-ის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას.

გარდა ამისა, დისტანციური სწავლების დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებთან მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (წინასწარ ჩაწერილი ვიდეოგაკვეთილები, მულტიმედიური რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა შესრულების შემდეგ მოსწავლე სისტემისგან ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს და ა.შ.;

დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე

ზოგადად, დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა იქნება შემდეგი:

კლასი	I-IV	V-IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში	1 საათი	1.5 საათი	2 საათი

ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა იქნება შემდეგი:

ა) I-IV კლასებში – 15- 20 წუთი;

ბ) V-IX კლასებში – 25-30 წუთი;

გ) X-XII კლასებში – 35-40 წუთი.

ამასთანავე, დღეში მოხდება არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილი დაიგეგმება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ინტერაქტიული ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიანი შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება.

2021 წლის 15 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე და ასევე, შემდგომში სრულად დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი განხორციელდება შემდეგი დღის რეჟიმით:

I კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	9.00	9.20	20 წუთი
II	9.35	9.55	20 წუთი
III	10.15	10.35	20 წუთი

V-IX კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	9.00	9.30	25-30 წუთი
II	9.40	10.10	25-30 წუთი
III	10.20	10.50	25-30 წუთი

X-XII კლასები			
გაკვეთილი	შესვლის დრო	გამოსვლის დრო	გაკვეთილის ხანგრძლივობა
I	9.00	9.35	35-40 წუთი
II	9.45	10.20	35-40 წუთი
III	10.30	11.05	35-40 წუთი

დისტანციური სწავლების მონიტორინგი

დისტანციური სწავლების დროს განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებით:

ა) ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით;

ბ) მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა;

გ) მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა;

დ) დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები;

ე) დაცულია თუ არა ხარისხიანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

დისტანციური სწავლების დროს სასწავლო პროცესის მონიტორინგს განახორციელებს დირექტორის მოადგილე კვირაში მინიმუმ ერთხელ.

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში არის ცხრა საგნობრივი კათედრა:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა- ხელმძღვანელი - ნატო ჩახვაძე
2. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა-ხელმძღვანელი - იმედა აბუსელიძე
3. საბუნებისმეტყველო საგანთა კათედრა- ხელმძღვანელი -ნანა ჩხარტიშვილი
4. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა-ხელმძღვანელი - ქეთევან რუსიეშვილი
5. გერმანულ-ფრანგული ენების კათედრა-ხელმძღვანელი - მარიამ კოლესნიკოვა
6. ინგლისური ენის კათედრა-ხელმძღვანელი - ეკატერინე თურმანიძე
7. რუსული ენის კათედრა-ხელმძღვანელი -ირმა შარაძე
8. დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა-ხელმძღვანელი - ირმა გათენაძე
9. ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა-ხელმძღვანელი - ნათია კვაჭაძე

სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი(კომპლექსური კონტექსტის მქონე) დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

- კათედრის წევრებიდან ირჩევა კათედრის თავმჯდომარე, 3 სასწავლო წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით.

კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

- ✓ კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- ✓ კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- ✓ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სასწავლო წლის დასაწყისში პირველ სხდომაზე. კათედრის სხდომაზე განიხილება სხვადასხვა პრობლემები, ხდება დოკუმენტაციის ანალიზი, სიახლეების გაცნობა, გაკვეთილების მონიტორინგის შუალედური და სემესტრის ბოლოს შეფასება და სხვა.

თითოეული კათედრის მუშაობის მახასიათებლები

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიზანია მოსწავლეებში ღირსეული, განათლებული, წიგნიერი და აქტიური მოქალაქის აღზრდა. მხატვრული ტექსტების დამოუკიდებელი ინტერპრეტაცია, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, მსგავსი და ერთმანეთისაგან განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობების გამოვლენა, სხვისი აზრის გათვალისწინება, შემწყნარებლობა, ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბება - ესაა უნარები, რომელთა განვითარებას ემსახურება ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა.

ამ კათედრაში შემავალი ქართული, როგორც მეორე ენის სწავლების კომპონენტი კი ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებში სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის უნარებს. სწავლების პროცესიდ მიმდინარეობს საინტერესოდ და სახალისოდ. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ელექტრონული რესურსები და გამოცემები. საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს თემატური დიალოგებით, ინტერაქტიური სავარჯიშოებით. გამოიყენება მრავალფეროვანი მოსასმენი და ვიზუალური აუდიო-ვიდეო რესურსი, რაც მოსწავლეებში განავითარებს სხვადასხვა უნარს.

მათემატიკისა და ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა

მათემატიკა ისწავლება I - XII კლასებში და მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთულ სასწავლო პროცესს, რომელიც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას. კათედრის წევრებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ცოდნის ტრანსფერი, რომ მოსწავლეებმა მათემატიკის შესწავლისას შეძენილი ცოდნა და უნარები გამოიყენონ კანონზომიერებების შესასწავლად, სიტუაციის გასაანალიზებლად და პრობლემების გადასაჭრელად. ეს გამოცდილება მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მათემატიკის კათედრაზე დაგეგმილი ღონისძიებებისა და გაკვეთილების დახმარებით. მათემატიკის კათედრაში გაერთიანებულია მათმატიკის, ისტ-ის, ასევე ხაზვის (არჩევითი საგანი არაქართულენოვან სექტორში) მასწავლებლები.

უცხოური ენების (გერმანული ენის,ინგლისური ენის, რუსულ-ფრანგული ენების) კათედრა

ინგლისური ენის მიმართულება

ინგლისური ენა ისწავლება პირველი კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს:

ü თანამედროვე, ინოვაციური სწავლების მეთოდებს

ü ინდივიდუალურ მიდგომებს

ü შემოქმედებითი, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებას

ü კონკურენტულ გარემოს მოტივაციის ასამაღლებლად

ü საინტერესო და მრავალფეროვან შიდა და გარე აქტივობებს (პროექტი, სპექტაკლი, ვიქტორინა ა.შ.)

მეორე უცხოური (გერმანული) ენის მიმართულება.

სკოლა ევრო 2000-ის გერმანული ენის მიმართულება მოსწავლეებს სთავაზობს რეალურ შანსს, ისწავლონ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ევროპული ენა, რომელიც საშუალებას მისცემთ სკოლის დამთავრების შემდეგ განათლება მიიღონ გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის უნივერსიტეტებში სწავლის საფასურის გარეშე, ეზიარონ ევროპულ კულტურას, ლიტერატურას, ფილოსოფიას.

სკოლაში რუსული და ფრანგული ენების სწავლება მიმდინარეობს საინტერესოდა და სახალისოდ. გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ელექტრონული

რესურსები და გამოცემები. საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს თემატური დიალოგებით, ინტერაქტიური სავარჯიშოებით. გამოიყენება მრავალფეროვანი მოსასმენი და ვიზუალური აუდიო-ვიდეო რესურსი, რაც მოსწავლეებში განავითარებს სხვადასხვა უნარს.

ფრანგული და რუსული ენების მიმართულება

ფრანგულისა და რუსული ენების, როგორც უცხო ენის სწავლა-სწავლების კონცეფცია არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე მოსწავლის მიერ არა მარტო ენის შესწავლის, არამედ მის სიღრმეში წვდომის და ფრანგულენოვანი ცივილიზაციის სივრცეში მისი ორიენტირების საფუძველი. მოსწავლესა და სწავლის პროცესზე ორიენტირებული ფრანგული და რუსული ენების სასწავლო პროგრამები, ითვალისწინებს მოსწავლის ფრანგულენოვან/რუსულენოვან სივრცეში ორიენტირებას, მის მიერ ამ ენების, კულტურისა და ყოველდღიურობის გაცნობასა და წვდომას, ძირითადი ენობროვი და ინტერკულტურული კომპეტენციების დაუფლებას.

ფრანგული და რუსული ენების, როგორც დამატებითი მე-3 უცხო ენის სწავლა-სწავლების სრულყოფილი სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ მოსალოდნელი შედეგები და მათი ინდიკატორები ესგ-სა და ენების საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2-B1/1 დონის მიღწევაა.

ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გაერთიანებულია 4 საგანი: ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება,სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება.

ამ საგნების სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას - ინტელექტუალური, კულტურული, ზნეობრივი, სულიერი ღირებულებების მატარებელი, ტოლერანტი მოქალაქის ჩამოყალიბებას. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია ბოლო თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები. კათედრის მუშაობის შედეგად მოსწავლეებისათვის ეწყობა გასვლითი ღონისძიებები, ვიქტორინები და პროექტები.

აღნიშნული აქტივობების შედეგად მოსწავლე უკეთ ეცნობა გარემოს, უფრთხილდება და იცავს მას, ეცნობა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ წარსულს, ეროვნულ ფასეულობებს, აანალიზებს წარსულზე დაფუძნებულ აწმყოს და სახავს სამომავლო მიზნებს. ეს ყველაფერი კი მას უვითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს და აყალიბებს ჰუმანურ, შემწყნარებელ, სრულფასოვან, ღირსეულ მოქალაქედ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა

საბუნებისმეტყველო კათედრაზე გაერთიანებულია 3 დარგი: ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია. თითოეული საგნის სწავლება (ცალცალკე და ერთად) არის წინაპირობა განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში მრავალმხრივი ცოდნითა და უნარით აღჭურვილი თაობის მომზადებისა. კათედრის ყველა წევრი თავის ცოდნას, გამოცდილებასა და კვალიფიკაციას იყენებს, რათა STEM-ის საგნების სწავლება სკოლაში გახდეს უფრო საინტერესო და პრაქტიკული. კათედრის თითოეული წევრი ცდილობს საგაკვეთილო პროცესი წარმართოს აქტიური სწავლების მეთოდებით, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და მათთვის კრიტიკული, კრეატიული, ლოგიკური და სხვა სააზროვნო უნარ-ჩვევევის განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა

ესთეტიკის კათედრა აერთიანებს როგორც სახელოვნებო საგნებს, ასევე სპორტს. ხელოვნება მრავალფეროვანი საგანია, რადგან იგი მრავალდარგობრივია. გაკვეთილებზე მიმდინარეობს სხვადასხვა თემებსა და ჟანრებზე მუშაობა, სხვადასხვა ტექნიკისა თუ მასალის გამოყენებით. საგაკვეთილო პროცესი მიმართულია მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებაზე, მათი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაზე. თემატიკიდან გამომდინარე, სტუმრობენ მუზეუმებსა და საგამოფენო სივრცეებს. დღესასწაულებსა და მნიშვნელოვან თარიღებზე ტარდება ამ დღესთან დაკავშირებული აქტივობები, კერძოდ, სკოლაში ეწყობა გამოფენები, აქციები, კონკურსები, რაც შესაძლებლობას აძლევს ყველა მოსწავლეს საკუთარი ინდივიდუალიზმი, მიდრეკილება, შემოქმედებითობა წარმოაჩინოს.

სკოლაში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტს, როგორც ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას. სპორტის სწავლება ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ პრიორიტეტებს და აქტიურად მუშაობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიმართულებით. ტარდება შეჯიბრები, მხიარული სტარტები, გასვლითი ღონისძიებები. მასწავლებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ და ცდილობენ მკვიდრ წარმოდგენებად უქციონ.

დაწყებითი კლასების (I-IV) კათედრა

კათედრის მიზანია, მოსწავლეებმა საფუძველი ჩაუყარონ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, სოციალური უნარების, კომუნიკაციის, ინიციატივების გამოვლენას.

პედაგოგების საქმიანობა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

1. შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
განმსაზღვრელი შეფასება- ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
განმავითარებელი შეფასება -ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

3. მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა

შპს სკოლა ევრო-2000 ში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

4. ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა** – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);
- **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში აისახება **წლიური გამოცდის ნიშანიც,** რომელიც გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე. (იხ. ქვემოთ, გამოცდის ტიპები); გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.
- **საფეხურის საერთო ქულა** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	**V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი**	**საბაზო-საშუალო საფეხურები**
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე **ახალი** ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადსხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგი შეიმუშავებს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

შემაჯამებელი დავალებების სტრატეგიები

ქვემოთ წარმოდგენილი სტრატეგია წარმოადგენს ერთიან პაკეტს, რაც ერთიანობაში საშუალებას იძლევა მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევებზე დაკვირვების შესაძლებლობას.

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება – განისაზღვრება თემების მიხედვით და წარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას;

დაკვირვება - ხდება ხშირად და რეგულარულად. მასწავლებელი აკვირდება ჯგუფს ან ცალკეულ მოსწავლეს.

პორტფოლიო (I-IV კლასები) - მოსწავლეთა ნამუშევრების კოლექცია, რომლის მიზანია მოახდინოს წარმატების ზრდის, თვითშეფასების,შემოქმედებითობის ასახვის დემონსტრირება.

განსაზღვრული პასუხები - ერთჯერადი, ერთგანზომილებიანი სავარჯიშოები, ტესტები, რომლებიც ასახავს დაგროვილი ცოდნის რაოდენობასა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს.

პროცესზე ფოკუსირება - მოსწავლეთა ტრანსდისციპლინარულ უნარებზე დაკვირვება, მათი შეფასება.

რუბრიკები - სტანდარტზე დაფუძნებული კრიტერიუმთა ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა ტესტების, პორტფოლიოების და სხვა ნამუშევრების შეფასება.

ტესტები - ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი დავალებები, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება.

თვითშეფასება - ჩანაწერი დაფუძნებული საკუთარი მუშაობის დაკვირვებაზე. ამ ჩანაწერებს სჭირდება სისტემური შევსება და ორგანიზება.

ურთიერთშეფასება - გაკვეთილის ორგანიზაციული ნაწილის სრულყოფისთვის მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ნამუშევრების: საშინაო დავალებების, ზეპირი პასუხების, ასევე ცალკეული, ეპიზოდური ხასიათის დავალებების შეფასება, შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება. **შეფასების ცხრილები/სქემები** - უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, მონაცემები, განსაზღვრებები ან ელემენტები, რომელთა წარმოჩენასაც ელის მასწავლებელი მოსწავლეთა მხრიდან.

შეფასების ამ საშუალებებით შეგვიძლია შევაფასოთ როგორც მთლიანად პროცესი, ასევე მისი რომელიმე ეტაპი. ასევე ვიყენებთ კომპონენტებს თავისი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით, რომელიც დასაწყისშივე ცნობილია მოსწავლისათვის. ასეთი შეფასების კომპონენტად შეგვიძლია განვიხილოთ:

პრეზენტაცია - ამ დროს ჩანს და ფასდება მოსწავლის სოციალური (ლიდერის როლის აღება), საკომუნიკაციო (მეტყველება, არავერბალური კომუნიკაცია), კვლევის (მონაცემთა ინტერპრეტაცია), საკუთარი თავის მართვის (დროის მენეჯმენტი, ორგანიზაცია...) უნარები.

რეფერატი - ამ დროს ჩანს და ფასდება კვლევის უნარ-ჩვევები (დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება/დახარისხება, მონაცემთა ინტერპრეტაცია, მონაცემთა ჩაწერა დალაგება).

პროექტი - ამ დროს ჩანს და ფასდება სააზროვნო უნარ-ჩვევები (ცოდნის დაუფლება, აღქმა, გამოყენება, ანალიზი).

სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეფასების კომპონენტების რუბრიკებს ადგენს საგნობრივი კათედრა, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. შეფასების ზოგადი და დაკონკრეტებული რუბრიკები ინახება მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოებში schoolbook **(იხ. ელ. პორტფოლიო schoolbook-ში). იხ.დანართი N 2**

6. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, სკოლაში დაბრუნებიდან 2 კვირის ვადაში, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

7. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრულ საგნებში, რომელშიც დაგეგმილია წლიური გამოცდის ჩატარება, ამ გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, კერძოდ, საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული იქნება (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).
დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

4. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).
გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

8. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასის და საფეხურის დაძლვა რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით. (ესგ-35- მუხლი)

9. შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღირიცხვის ჟურნალში, გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.
2. მოსწავლეთა გაცდენასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (ესგ- 38- ე მუხლი)

10. გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **სემესტრული გამოცდა;**
- **წლიური ამოცდა**
- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**

10.1 სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან **ერთი კვირის ვადაში წერილობით** მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისი საგნის მასწავლებელი შეიმუშავებს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებას და წარუდგენს შესათანხმებლად ხარისხის მართვის მენეჯერს.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**
4. **სემესტრული გამოცდა ტარდება** სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს **ორი კვირის ვადაში.**

10.2 წლიური გამოცდა

1. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში წლიური **გამოცდა** ჩატარდება შემდეგ კლასებში .

გამოცდები 2021-2022 სასწ.წ

კლასი	სექტორი	საგანი	საგანი
მე-5	ქართული	**მე-3 უცხ (ფრანგ/რუს)**	**მუსიკა**
	რუსული	**ქართული ენა**	**მუსიკა**
მე -6	ქართული	**ქართული ენა**	**მათემატიკა**
	რუსული	**ქართული ენა**	**მათემატიკა**
მე 7	ქართული	**გეოგრაფია**	**სპორტი**
	რუსული	**ქართული ენა**	**გეოგრაფია**
მე-8	ქართული	**ქართული ენა**	**ხელოვნება**
	რუსული	**ქართული ენა**	**ხელოვნება**
მე-9	ქართული	**ქართული ენა**	**მათემატიკა**
	რუსული	**ქართული ენა**	**მათემატიკა**
მე-10	ქართული	**ქართული ენა**	**ქიმია**
	რუსული	**ქართული ენა**	**ქიმია**
მე 11	ქართული	**ისტორია**	**ფიზიკა**
	რუსული	**ისტორია**	**ფიზიკა**

10.3 საშემოდგომო გამოცდა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
3. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);
4. შპს სკოლა ევრო-2000 საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს კომპლექსური შემაჯამებელი დავალების ფორმით, 2021 წლის 29 აგვისტოდან 09 სექტემბრამდე. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზეზის შემთხვევაში, საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2021 წლის 29 ივნისიდან.

10.4 ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას

აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 3 და დანართი N 4 სახით თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც:

ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;

ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 5 სახით თან ერთვის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო/სერია;

გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

მათემატიკა: კომპიუტერი , საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და ა.შ

ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ.. □აბინეტი აღჭურვილია კომპიუტერით კომპიუტერითა, პროექტორითა და სპეციალური დაფით.

მუსიკა: პიანინო, დისკები, ქართული ხალხური საკრავების პლაკატები და ა.შ კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერით ,პროექტორითა და სპეციალური დაფით.

სპორტი: ბურთები, ჭადრაკის დაფები, ჰულაჰუპები, მაგიდის ჩოგბურთის სრული აღჭურვილობა (დახურულ დარბაზში და ეზოში) და სხვა.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N6 სახით თან ერთვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება 2021-2022სასწავლო წელს

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N7 სახით თან ერთვის დამხამრე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნება 2021-2022სასწავლო წელს

სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე

□ინ სწავლება

სკოლა ვალდებულია შინსწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი, ახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს; (შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებლი არ ასწავლიდეს შინსწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს).

მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

სადამრიგებლო პროგრამა

კლასის დამრიგებლის მოვალეობები

დამრიგებელს ევალება:

- გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
- დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;
- საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;
- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.
- საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

2. **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

3. **მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება** - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

4. **თანამშრომლობის პრინციპი** – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

სადამრიგებლო საათი

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

- საუბრები მოსწავლეებთან;
- დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
- ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
- ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;
- მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად; სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური დარღვევა;
ბ) ინტელექტუალური დარღვევა;
გ) სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
დ)მეტყველების დარღვევა;
ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
3. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისობრივ ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
4. სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთ ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:
ა) სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო;
ბ) საათობრივი ბადე;
გ) დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა;
დ) სასწავლო მასალა;
ე) სწავლების სტრატეგია;
ვ) ალტერნატიული შეფასების გამოყენება (ტესტირება, წერითი დავალება, ზეპირი დავალება და სხვა.) და სხვა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად, შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

5. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი და/ან სპეციალური მასწავლებელი (საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგის და სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი ან ძიძა) ჩართულობით);

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.

7. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი).

8. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლა ბრძანებით განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს (შემდგომში – ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.

9. ისგ ჯგუფში გაერთიანდებიან ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე, მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი.

10. ისგ ჯგუფს ეყოლება კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; ჯგუფს ხელმძღვანელობას გაუწევს დამრიგებელი.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ ჩატარდება ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის

საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

12. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

13. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას აწვდის სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებულ სრულ დოკუმენტაციას (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).

14. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად ამზადებს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიშს, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

15. სკოლა უფლებამოსილია სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელოს ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების სწავლებისას შესაძლებელია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი, გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული სხვა საგანმანთლებლო რესურსები/სერვისები.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

3. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება 30% და მეტი გაცდენების გამო ექსტერნატის გამოცდები.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.
6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
- სკოლის შენობაში განთავსებულია ლიფტი, რომლის საშუალებითაც ისინი იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;

- ❖ სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ❖ ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- ❖ გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ❖ ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- ❖ სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად, სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 8 - ით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

ამ მხრივ, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს ფასიანი წრის სახით:

- ✓ ფასიანი მომსახურება - გახანგრძლივებული I-IV კლასებში გაკვეთილების შემდეგ, 18:00 საათამდე.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო უფასო მომსახურებებს

2021-2022 სასწავლო წელს სკოლა ევრო-2000 მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით უფასო საგანმანათლებლო მომსახურებას შემდეგ საგნებში: გერმანული,რუსული და ფრანგული ენა.

გერმანული ენა- მე-2 კლასიდან მე-4 კლასის ჩათვლით;

ფრანგული ენა - მე - 4 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით

რუსული ენა- მე - 4 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით

2021 -2022 სასწავლო წელი

გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურების პაკეტი

გახანგძლივებული ჯგუფის მიზანია მოსწავლეთა მომზადება სასკოლოდ, დახმარება მასალის სწრაფად და ხარისხიანად ათვისებაში. მოსწავლეთა სასკოლოდ მომზადების პროცესი ბავშვებისათვის სასიამოვნო და სასურველ გარემოში ხდება. პროგრამა საინტერესო და მრავალფეროვანია, რაც ემსახურება მოსწავლეთა როგორც გონებრივ ასევე ფიზიკურ და სულიერ აღზრდას.

საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები სადილობენ. სადილის შემდეგ ფიზიკური ვარჯიში, ხელს უწყობს მათ დასვენებას და სამეცადინოდ მომზადებას. მეცადინეობის დროს ვაწყობთ თამაშებს, რათა სასწავლო პროცესი მათთვის არ იყოს დამღლელი. ხშირად ვაწყობთ გასეირნებას ბუნებაში.

გახანგძლივებულ ჯგუფში მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ მიმართულებებს:

1. მიმართულება - კითხვა:
 ა) მოსწავლეს უნდა გამოვუმუშავოთ წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები;
 ბ) მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმა;
 გ) მოსწავლემ უნდა ამოიცნოს ტექსტის მარტივი ენობრივი ერთეულები;

2. მიმართულება - წერა:
 ა) მოსწავლეს ვაჩვევთ წერას კარნახით და წერას ნაბეჭდი ტექსტიდან
) ვადგენინებთ მარტივ წინადადებებს;

3. მიმართულება ზეპირმეტყველება:
 ა) მოსწავლე ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას;
 ბ) მოსწავლე გადმოსცემს მარტივ ინფორმაციას ნაცნობ თემაზე;
 გ) იცავს მართმეტყველების ელემენტარულ წესებს.

გახანგძლივებულ ჯგუფში მოსწავლეები მეცადინეობენ შემდეგ საგნებში: ქართული, მათემატიკა, ბუნება, ინგლისური, რუსული. სამეცადინო პროგრამის დასრულების შემდეგ, ხდება მოსწავლეების ტესტურ სამუშაოებში ჩართვა. ტესტებს მოსწავლეები ასრულებენ ხალისით და ინტერესით, რაც მათ გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს.

მოსწავლეებთან მუშაობისას ვიყენებთ შემდეგ ფორმებს;

1. ინდივიდუალური;
2. ჯგუფური;

გახანგძლივებული ჯგუფის მთავარი ამოცანაა, რომ მოსწავლეებს განუვითაროთ ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები: წერა-კითხვა, მეტყველება, საინფორმაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები. უნდა ჩავუნერგოთ იდეა, რომ იყვნენ კანონმორჩილნი, ტოლერანტი მოქალაქენი, ასვე ჩვენ უნდა გავზარდოთ ისინი დამოუკიდებლად.

ჩვენ მიზნად ვისახავთ განუვითაროდ მოზარდს გონებრივი და ფიზიკური ჩვევები, მივცეთ მათ საჭირო ცოდნა და დავუმკვიდროდ ჯანსაღი ცხოვრების წესი.

გაკვეთილების ცხრილი

I – IV კლასების გახანგრძლივებული ჯგუფისთვის

სკოლა ევრო 2000 გახანგრძლივებული ჯგუფი ცხრილი პირველი კლასი მასწავლებელი: ქეთევან მადოიშვილი					
დრო	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
13:00	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება
14:00	ქართული და მათემატიკა	14:00 – 14:30 ჭადრაკი	14:00 – 14:30 ჭადრაკი	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა
15:00	ინგლისური 30წთ	ქართული და მათემატიკა	ინგლისური 30წთ.	ბუნებისმეტყველება	ხელოვნება
16:00	ჰაერზე გასვლა	ჩოგბურთი	ქართული და მათემატიკა	ჩოგბურთი	ჰაერზე გასვლა
17:00	ხელოვნება	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ბუნებისმეტყველება

სკოლა ევრო 2000 გახანგრძლივებული ჯგუფი ცხრილი მეორე კლასი მასწავლებელი: ქეთევან ბაუჟაძე					
დრო	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
13:10	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება
14:00	ქართული და მათემატიკა	ქართული	ქართული	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა
14:30	ინგლისური	14:30 – 15:00 ჭადრაკი	14:30 – 15:00 ჭადრაკი	ბუნებისმეტყველება	ინგლისური
15:00	გერმანული 30წთ	მათემატიკა	გერმანული 30წთ	ხელოვნება	ბუნებისმეტყველება
16:00	ხელოვნება	ჩოგბურთი 16:00	მათემატიკა	ჩოგბურთი 16:00	მუსიკა
17:00	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა

სკოლა ევრო 2000 გახანგრძლივებული ჯგუფი ცხრილი მესამე კლასი მასწავლებელი: თინათინ თხილაიშვილი					
დრო	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
14:00	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება
15:00	გერმანული	ქართული და მათემატიკა	გერმანული	ჭადრაკი	გერმანული 15:00
16:00	ქართული და მათემატიკა	ინგლისური	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა
17:00	ინგლისური	ჩოგბურთი	ბუნებისმეტყველება	ჩოგბურთი	ინგლისური
17:30	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა

სკოლა ევრო 2000 გახანგრძლივებული ჯგუფი ცხრილი მეოთხე კლასი მასწავლებელი: მაია თევზაძე					
დრო	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
14:00	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება	დასვენება + კვება
15:00	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა	ქართული და მათემატიკა
15:30	ინგლისური	ჭადრაკი	ჭადრაკი	ინგლისური	გერმანული
16:00	გერმანული	ინგლისური	გერმანული	ბუნებისმეტყველება	ხელოვნება
17:00	ბუნებისმეტყველება	ჩოგბურთი	ხელოვნება	ჩოგბურთი	ჰაერზე გასვლა
17:30	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა	ჰაერზე გასვლა

ფრანგული ენის ,,DELF"- ის წრე

მასწავლებლის სახელი, გვარი : სოფიო დუმბაძე

პროგრამის ხანგრძლივობა - 08 .10. 21 - ივნისი

თითოეული შეხვედრის ხანგრძლივობა - კვირაში 2 აკადემიური საათი (საჭიროების შემთხვევაში 5 საათი)

წრის მიზანი - სკოლა ევრო 2000 -ის მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეთა მომზადება ფრანგული ენის საერთაშორისო დიპლომის DELF – A1 ის გამოცდის ჩასაბარებლად.

წრის სტატუსი - არასავალდებულო / უფასო

მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა - 15 მოსწავლე

მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა - 5 მოსწავლე

მოსწავლეთა გაწევრიანების პრეცედურები - ,,delf"- ის წრეში გაწევრიანება შეუძლია მე-10 - მე 11 კლასის ნებისმიერ მოსწავლეს ინტერესებიდან გამომდინარე. ამისათვის მოსწავლე დათქმულ ვადაში მშობელთან

ერთად ავსებს განაცხადის ფორმას. განაცხადების მიღება შეწყდება ზღვრული რაოდენობის დადგომისთანავე. განსაკუთრებული ინტერესის შემთხვევაში შესაძლოა + 2 მოსწავლის დამატება.

წრის წესები -

- წრის წევრი მოსწავლე ვალდებულია დაესწროს წრის მუშაობას რეგულარულად. 3 არასაპატიო გაცდენის შემთხვევაში მოსწავლე ვეღარ შეძლებს წრეში მუშაობის გაგრძელებას.
- მოსწავლე პატივს სცემს წრისათვის დადგენილ სამუშაო გრაფიკსა და ურთიერთობის ფორმებს.
- მოსწავლე მუშაობს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და პატივისცემით ეპყრობა სხვა წევრთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს.
- წრის მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის , ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის პრინციპებს.
- მოსწავლეს აქვს უფლება ინტერესების ცვლილებიდან (თუ სხვა ფაქტორებიდან) გამომდინარე შეწყვიტოს წრის წევრობა და ამის შესახებ აცნობოს წრის ხელმძღვანელს მშობლის განაცხადით.
- წრის გაკვეთილზე მოსწავლის დასწრება აღირიცხება.

I. ინფორმაცია ფრანგული ენის წრეში დარეგისტრირებულ მოსწავლეთა შესახებ

N	მოსწავლის სახელი და გვარი	კლასი
1	ჯანრი ჯაყელი	მე-11
2	საბა ანანიძე	მე- 11
3	გუგა მახარაძე	მე-10

4	ნიკოლოზ საღარაძე	მე-11
5	ანასტასია ბეჟანიძე	მე-11
6	თამარ ფევაძე	მე-11
7	დავით ხინთიბიძე	მე-11
8	ეთუკა ბერიძე	მე-10
9	ნატალი გობაძე	მე-10
10	ლიზა ბერიძე	მე 10
11	გიორგი ჩხიკვაძე	მე-11
12	გიორგი აფაქიძე	მე-11
13	ნინი ცეცხლაძე	მე-11
14	ლიზი ჩიქოვანი	მე-11
15	თორნიკე აბაშიძე	მე-11

II. გაკვეთილების განრიგი / ფრანგული ენის წრის მეცადინეობის დღეები / დაწყების და დასრულების დრო:

კვირაში 1 დღე - პარასკევი. (გამოცდების წინა პერიოდში 4 კვირა ყოველ სამუშაო დღეს გაკვეთილების შემდეგ)

წრის შეხვედრის დასაწყისი - 14:00

წრის შეხვედრის დასასრული - 15:30

შეხვედრების ძირითადი სივრცე -,, საკონფერენციო დარბაზი“

III. ფრანგული ენის საერთაშორისო დიპლომის ,,Delf “- ის A 1 დონის გამოცდისათვის მოსწავლეთა მოსამზადებელი პროგრამა

	ის რაოდენობა	ა/მიმართულება	ის ტიპი და აქტივობა	გამოყენებული რესურსები	შენიშვნა
	4	et passe temps’ ლება წერა :	რაქტიკული	Exerçon-nous /révison 1 p.23 w.bonjourdefrance.com/exercices/contenu/ex ous-a-la-production-ecrite-niveau-a2.html	
	4	tidienne” ლება მოსმენა	რაქტიკული	Exerçon-nous /révison 1 p.137-145 jina.ca/~laninstit/HotPot/French/Elementaire /exercises/P/p002.htm	

	4	ıeure …/ ุu'il fait ლება ლაპარაკი	პრაქტიკული	Exerçon-nous /révison 1 p.5 Vocabulaire en context – p.116 w.bonjourdefrance.com/exercices/contenu/2 1/preparationDelf/451.html	
	4	amis ლება ითი ტექსტის	ვული	Exerçon-nous /révison 1 p.11 Vocabulaire en context – p.24 w.didierconnexions.com/niveau1/index.php? id=2-4-1-1	
	4	et ლება წერა	პრაქტიკული	xerçon-nous /révison 1 p.31/35 Vocabulaire en context – p.51,47 w.bonjourdefrance.com/exercices/contenu/ex ous-a-la-production-ecrite-niveau-a1.html	
	4	re/ler repas ლება მოსმენა	პრაქტიკული	Exerçon-nous /révison 1 p.41 Vocabulaire en context – p.103 www.youtube.com/watch?v=uqVh6p7xGQs	
	6	ns/les courses ents ლება ლაპარაკი/	პრაქტიკული	xerçon-nous /révison 1 p.58/81/ Vocabulaire en context – p. 77	

	6	ლება ითი ტექსტის	პრაქტიკული	Preparer delf A 1 ,,100% réussite”	
	6	ლება /Poser des	პრაქტიკული	,,100% réussite”	
	დამდე 4 კვირა სამუშაო დღეს	ა მოდელირება	პრაქტიკული	,,100% réussite” .delfdalf.fr/delf-a1-sample-papers.html	